

**კორპორაციული სტრატეგიული მართვის
ანალიტიკური შეფასება, სს „RMG Copper“-ის
და შპს „RMG Gold“-ის მაგალითზე**

ნანა მაისურაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

თანამედროვე გამოკვლევების და სხვადასხვა ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მკვლევარების [1; 4; 7; 8; 9] უმრავლესობა, არ განიხილავს კორპორაციის სტრუქტურას, როგორც მუდმივ სისტემას, და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რამეთუ მეცნიერულ პროგრესთან ერთად იცვლება ეკონომიკური გარემო და, შესაბამისად, კორპორაციაზე მოქმედი ცვლადებიც, ამდენად, კორპორაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია მოითხოვს ცვლადების ანალიტიკურ შეფასებას, რომელიც სტრატეგიული მართვის ძირითადი ღერძია. ამ მიმართულებით საინტერესოა როგორც უცხოელი (ლ. გრენერი ი. ბლანკი, ა. ტომპსონი, ს. ვინსიუსი, დ. ბეილტი), ასევე ქართველ ეკონომისტების (ზ. ლიპარტია [3], გ. პაპავა [5], მ. მანია [2], ვ. კაკაბაძე [1], ნ. ხარებავა, გ. ცაავა და ა. შ.) გამოკვლევები. მათი გამოკვლევების საფუძველზე ჩვენს მიერ გამოყოფილ იქნა ექვსი მთავარი სისტემური ანალიზის ეტაპი, სახელდობრ: პირველი ეტაპზე, ობიექტი განიხილება როგორც ერთიან საკომუნიკაციო, რესურსების, წარმოების პროცესის, მზა პროდუქციის და გასაღების ობიექტის ერთიანი სისტემა; მეორე ეტაპზე ვანხორციელებთ სინთეზურ და ანალიზურ მაჩვენებელთა სისტემის შეფასებას. აქ მთავარია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოვლენა; მესამე ეტაპზე, დგინდება სისტემური ანალიზის ჩატარების სისტემის ზოგადი სქემა, მთავარი კომპონენტის ფუნქციებისა და ურთიერთკავშირის განსაზღვრით; მეოთხე ეტაპზე დგება საწარმოს საფინანსო ინფორმაციების მოდელის საფუძველზე კომპლექსური ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის საერთო ბლოკ-სქემა, რომელშიც მოცემუ-

ლი უნდა იყოს კორპორაციის საწარმოო საქმიანობის და საფინანსო ინფორმაციის ანალიზი; მეხუთე ეტაპზე იგება სისტემის მოდელი იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიიღება წინა ეტაპებზე. მოდელში აისახება კონკრეტული მონაცემები საწარმოს ცალკეული ერთეულების შესახებ და მიიღება მოდელის პარამეტრები რიცხობრივ გამოსახულებაში, ხოლო, მეექვსე ეტაპზე მიმდინარეობს სამეწარმეო შედეგების შეფასება, რეზერვების კომპლექსური გამოვლენა წარმოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ჩვენი მოსაზრებით, კომპლექსურ ანალიზში მთავარია სისტემურობა და სწორი ფინანსების მართვის ანალიტიკური შეფასება, რამეთუ ფინანსური დოკუმენტები პირველნი იუწყებიან კორპორაციის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელ სიმძნელებზე და რისკზე [6].

როგორც ცნობილია, კორპორაცია რთული ორგანიზმია და შედგება პარტნიორული ჯგუფებისგან. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ამ კუთხითაც უნდა მოხდეს კორპორაციის მართვის ანალიტიკური შეფასება.

შესაბამისად, ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ განხორციელდა საქართველოს სამთო-მომპოვებელი დარგის კომპანიების სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის პარტნიორი ორგანიზაციების შესწავლა მათი, სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის, დაინტერესების და მოთხოვნის შესაბამისად და შედგა მათი ჩართულობის მიხედვით დაინტერესების სქემა (იხ. ცხ. №1).

ამასაღმე, ჩვენ გამოვყავით, კორპორაციული სტრატეგიული მართვის ანალიტიკური შეფასების ორი მიმართულება: საერთო სისტემური ანალიზი, რომელიც შედგება ექვსი ეტაპისაგან და პარტნიორული ჯგუფებთან ურთიერთობის ანალიტიკური შეფასება. ამასთან მიგვაჩნია, რომ კორპორაციის კონკურენტუნარიანობის გამოსავლენად განხილულ უნდა იქნას საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლი; ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები და მოხდეს მათი ანალიტიკური შეფასება.

სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის ქონებრივი მდგო-

კორპორაციის ძირითადი პარტნიორი ჯგუფების
ანალიტიკური შეფასების სქემა

ცხრილი № 1

პარტნიორი ჯგუფი	პარტნიორი ჯგუფის შენატანი	მოთხოვნები	ფინანსური ანალიზი
აქციონერები	საკუთარი კაპიტალი	დივიდენდები	ფინ. მდგომარეობა
ინვესტორები,	ნასესხები	პროცენტები	გადახდისუნარიანობა
მსესხებლები, ბანკი	კაპიტალი		კრედიტუნარიანობა
მმართველები	ცოდნის კაპიტალი	შრომის ანაზღაურება და ზეგანაკვეთური შემოსავალი	საწარმოს მოღვაწეობის ყველა მხარე
კორპორაციის თა- ნამშრომლები	საწარმოო ტექნიკის ეფექტიანი გამოყენე- ბა	ხელფასი, პრემიები, სოციალური პირობები	საწარმოს ფინანსური მდგომარეობა
პარტნიორი მომწო- დებლები	წარმოების უწყვეტობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა	სახელშეკრულებო ფასი	გადახდის უნარიანობა
მუშტარი (უშუალო მყიდველი)	რეალიზაცია	სახელშეკრულებო ან საბაზრო ფასი	საწარმოს ფინანსური შედეგები
საგადასახადო ორგანოები	საზოგადოების მომსახურება	გადასახადების დროული გადახდა	საწარმოს ფინანსური შედეგები
აუდიტი	ინტერესების დაცვა	გადასახადების დროული გადახდა	საწარმოს ფინანსური მდგომარეობა

მარეობის მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე დადგინდა (2009-2012 წლები), რომ სს „RMG Copper“-ის ქონება საერთო მაჩვენებლით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ზრდის ტემპი დაბალია. რაც შეეხება, შპს „RMG Gold“-ს დაფიქსირდა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესამჩნევი ზრდა. მაგრამ, ჩვენი მოსაზრებით, ამ და სხვა სტატისტიკური მონაცემების (რეალიზებული პროდუქცია, დაუმთავრებელი ნაგებობები, ამორტიზებული საწარმოო ტექნიკა) ანალიზი ქმნის არაადეკვატურ სურათს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ აუცილებელია კორპორაციული მართვის სისტემის გადახედვა და ამ აუცილებლობის საფუძველს ისიც ქმნის, რომ სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის წლიური შემოსავლის პირობებიდან გამომდინარე ქო-

ნებრივი მდგომარეობის რყევები აუხსნელია.

გამოკვლევამ ასევე გამოავლინა, რომ სს „RMG Copper“-ის ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის მდგრადობა ასე თუ ისე სასურველი ტენდენციის მატარებელია. მდგრადობა ახასიათებს შპს „RMG Gold“-ის ძირითადი საშუალებების კატეგორიას თუ არ ჩავთვლით 2012 წლის მეორე კვარტლის პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდში მოხდა ამორტიზებული მანქანა-დანადგარების რეალიზაცია და 2012 წლის ბოლოს ახლის შეძენა, ამასთან, შპს „RMG Gold“-ში ძირითადი საშუალებების საერთო ოდენობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა მანქანა-დანადგარები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, ანუ ყველაზე უფრო აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე აღვნიშნავთ, რომ საწარმოს ქონებრივ მდგომარეობაში არსებული ხარისხობრივი ცვლილებების და მათი პროგრესიულობის ხარისხის კრიტერიუმებად ითვლება ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილის მაჩვენებლები, ძირითადი საშუალებების ვარგისიანობა და ცვეთის კოეფიციენტები, რომლებიც პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთან ერთად ქმნიან კორპორაციის კონკურენტუნარიანობის ოპტიმიზაციის საფუძველს [9].

შპს „RMG Gold“-ის ფაქტობრივი მასალების შესწავლის საფუძველზე დადგინდა: მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ძირითადი საშუალებების შეძენას და ამავე დროს ეს პროცესი ზრდის ტენდენციით მიმდინარეობდა, განახლების კოეფიციენტი საბაზისო წელთან შედარებით, 2010 წელს მხოლოდ 0.25-ით გაიზარდა, ხოლო 2005 წელთან შედარებით 2012 წელს დაფიქსირდა კლება - 0.05-ით. რაც შეეხება სს „RMG Copper“-ს შესაბამისად გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები: 2010 წ. - 0.21, კლება - 0.12.

სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას ასევე ხსნის მათი საწარმოების ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი.

გამოკვლევებისა და სხვადასხვა თეორიული მასალის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ლიკვიდურობის ხარისხის მი-

ხედვით შესაძლებელია საწარმოს ლიკვიდურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც წარმოვადგინეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხ. №2).

საწარმოს ლიკვიდურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები
ცხრილი №2

ლიკვიდურობის ხარისხის მაჩვენებლები	საწარმოს ფულადი საშუალებები
აქტივები:	
A1 - მაღალლიკვიდური აქტივები	სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);
A2 - სწრაფად რეალიზებადი აქტივები	დებიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადა 12 თვეს არ აღემატება;
A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები	მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს;
A4 - ძნელად რეალიზებადი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები - ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები (ლიცენზია, პატენტი) დაუმთავრებელი მშენებლობა (ცენტრალური საოფისე ნაგებობა).
ვალდებულებები:	
L1 - სასწრაფო ვალდებულებები	კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დადგა და მასზე მოთხოვნაა;
L2 - მოკლევადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი სესხები და სხვა ვალდებულებები;
L3 - გრძელვადიანი ვალდებულებები	ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანადღებელი ობლიგაციები;
L4 - მუდმივი პასივები	საკუთარი კაპიტალი; რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

ზემოთ მოცემული ლიკვიდობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების საფუძველზე კი, განვსაზღვრეთ სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის ლიკვიდურობის მაჩვენებლები, რომელიც მოცემულია ცხრილში (იხ. ცხრილები 3 და 4).

სს „RMG Copper“-ის ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები
ცხრილი №3

თანაფარდობა	2009	2010	2011
$A_1 \geq L_1$	19,946,485<46,858,591	17,179,918>14,516,672	19,662,733>11,922,699
$A_2 \geq L_2$	21,974,481<46,957,591	21,989,918>18,716,876	23,642,835>17,962,899
$A_3 \geq L_3$	21,985,484>16,759,000	20,199,918<20,258,000	22,982,931>20,448,030
$A_4 \leq L_4$	11,955,482<45,062,295	10,149,118<65,569,986	12,362,433<84,103,091

შპს „RMG Gold“-ის ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები
ცხრილი № 4

თანაფარდობა	2009	2010	2011
$A_1 \geq L_1$	1,914,620<13,158,372	19,243,902>12,645,870	7,856,699>5,727,266
$A_2 \geq L_2$	21,974,481<74,184,901	21,989,918>12,647,880	72,896,051>16,229,105
$A_3 \geq L_3$	36,095,704<61,403,462	60,162,916>7,893,819	71,897,092>1,941,339
$A_4 \leq L_4$	21,043,800<74,675,335	35,363,959<74,533,992	49,597,070<74,600,992

მოცემული ანალიტიკური შეფასებიდან აშკარაა, რომ საწარმოებს სს „RMG Copper“-ს და შპს „RMG Gold“-ს გააჩნია ლიკვიდური ბალანსი.

კორპორაციის საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლის ანალიზი ხსნის ფინანსური რესურსების მდგომარეობის, გამოყენების და განაწილების სურათს, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს მოგების და პოტენციალის ერთგვარ ინდიკატორს.

სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის ფინანსური საქმიანობის ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ამ საწარმოების ფინანსური სტაბილურობა მოქცეულია ორი ტიპის არეალის ფარგლებში, სახელდობრ: ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის და არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის ფარგლებში, ანუ ამ საწარმოების შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მდგრადობის ორი დონე.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებით და ნასესხები წყაროებით. ხოლო არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების დაფარვა ხდება არამხოლოდ დაფარვის ნორმალური წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაესხების ხარჯზე.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორპორაციული სტრატეგიული მართვის პრიორიტეტების ჩამოყალიბების პირობებში კონკურენტუნარიანობის ოპტიმიზაციის საფუძვლების შემუშავება ორგანიზაციულ ცვლილებათა ანალიტიკური მართვის მოდელების მწვავე კონკურენციის პირობებში სისტემური ანალიზის გარეშე შეუძლებელია კორპორაციის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთო სისტემურ ანალიზს, პარტნიორულ ჯგუფებთან ურთიერთობის ანალიტიკურ შეფასებას, საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებელს, ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებს, ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს და სწორედ ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კორპორაციები სს „RMG Copper“-ი და შპს „RMG Gold“-ი წარმოადგენენ მაღალლიკვიდურ საწარმოებს.

ლიტერატურა

1. კაკაბაძე ვ. ბიზნეს-ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური). გამ.: „მერიდიანი“, თბ., 2011 წ.
2. ლაზრიევა ნ., მანია მ., მირზაშვილი გ., ტორონჯაძე თ., დლონტი ო., ჯამბურია დ. ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები, ფინანსური და სადაზღვეო მათემატიკა, ფინანსური ინჟინერია. გამ.: „ფონდი ევრაზია“, თბ., 1999 წ.
3. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი. ნაწილი 1, ეკონომიკური ანალიზის თეორია. გამ.: „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, თბ., 2003 წ.

4. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები. ტომი II, გამ.: „უნივერსალი“ თბ., 2013 წ.

5. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ტომი 2. გამ.: „სამშობლო“, თბ., 1998 წ.

6. ძიმცეიშვილი ნ., ნაჭყეძია მ., დათუაშვილი ს., ბაქრაძე გ. მმართველობითი აღრიცხვა. გამ.: თბ., „UBG“ 2009 წ.

7. Бачуров Вл. «Генри Форд, Лучший бизнесмен 20-го Века. 2010, <http://www.mukhin.ru/ford.html>

8. Вачугова Д. Д. Основы менеджмента. 2-е изд., перераб. и доп. изд.: [Он-лайн-книга], “Высшаяшкола”, 2005. <http:// vse-uchebniki. com/ menedjmenta-osnovyi/ osnovyimenedjmenta - vachugova.html>, с. 76.

9. Maisuradze N., Dekanosidze S. Key Indicators of Tourism Organizational Management. Conference - Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage, 28-29 June, 2013. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics.

RESUME

Nana Maisuradze

The Analytical Evaluation of Corporate Strategic Management, on the example of JSC “RMG Copper” and LTD “RMG Gold

The present scientific article refers to such main management strategic indexes of RMG Copper JSC and RMG Gold Ltd as general system analysis of the enterprises, analytical assessment system of relations with partner groups, property status index of the enterprises, liquidity and insolvency indexes, financial stability indexes, explaining the picture of status, utilization and distribution of resources of the abovementioned corporations and potential of their competitiveness.

The article also substantiates that optimization of corporation structure requires analytical assessment of variables, which, for its part, is a main axis of strategic management.

At the end, the article introduces a scheme of analytical assessment of main partner groups of the corporation and a table of criteria defining liquidity of the enterprise worked out by the author.